დასკვნა

მოედნის სეისმურ მდგრადობაზე

ანგარიშზე ქ. თბილისში, 300 არაგველისა და იალბუზის ქუჩების გადაკვეთასთან სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (საკად. კოდი № 01.17.01.138) საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა სეისმური საშიშროებასთან დაკავშირებით

საინჟინრო გეოლოგიური ანგარიში შედგენილია 2017 წლის მარტში. ანგარიში შედგენილია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელია ინჟ. გეოლოგი მ. ყიფშიძე.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე მათ მიერ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილია გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 - ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 - ძირითადი ქანი თხელშრეებრივი არგილითები ძლიერ გამოფიტული;
3. ფენა 3 - ძირითადი ქანი ქვიშაქვები არგილითების თხელი შუაშრეების მორიგეობით. სუსტად გამოფიტული.

გამოკვლეული იქნა რა ზემოაღნიშნული ქანების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები მკვლევარი მიდის დასკვნამდე, რომ შენობა დაფუძნდეს ფენა 3-ზე სუსტად გამოფიტულ ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობაზე.

ანგარიშიდან გამომდინარე გაბატონებული მდგომარეობა ფენა 3-ში უჭირავს ქვიშაქვებს, მეორე კომპონენტი მორიგეობაში გვხვდება თხელი ფენის სახით. ანგარიშიდან აგრეთვე ჩანს, რომ ქვიშაქვები თავისი სიმტკიცით მიეკუთვნებიან კლდოვან ქანებს, მათი სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე მეტია 50 კვ/სმ^2.

თუ მივიღებთ მხედველობაში ტერიტორიის გეომორფოლოგიურ პირობებს, აგრეთვე ქანებს რაზედაც შენობა უნდა დაფუძნდეს (ძირითად ქანებზე) მაღალ სიმტკიცეზე აღვნიშნავთ, რომ თბილისში ძნელად მოიპოვება ამაზე მდგრადი ადგილი სეისმური თვალსაზრისით.

ვიღებთ რა მხედველობაში ზემოაღნიშნულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებს და ქანების მაღალ სიმტკიცეს ვთვლით, რომ ქ. თბილისის ტერიტორია სამშენებლო ნორმებით პ.ნ. 01.01.09 (სეისმომედეგი მშენებლობა) მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურად აქტიურ ზონას,

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნ. დოქტორი, პროფესორი ვ. ჭოხონელიძე

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, 300 არაგველისა და იალბუზის ქუჩების გადაკვეთასთან სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.01.138.117; 014.115) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

შ.პ.ს. „სურგულა“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, 300 არაგველისა და იალბუზის ქუჩების გადაკვეთასთან სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.01.138.117; 014.115) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, 300 არაგველისა და იალბუზის ქუჩების გადაკვეთასთან სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.01.138.117; 014.115) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2017 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო შემსრულებელი, ინჟინერ-გეოლოგი მ. ყიფშიძე. გრუნტების თვისებების გამოკვლევა ჩატარდა აკადემიკოს გ. წულუკიძის სახელლობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 7 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. მიწერილობა---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 3 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 1 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 4 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 13 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, ერთი მიწისქვეშა სართულით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი და ერთი შურფი. ჭაბურღილების სიგრძე შეადგენდა 26.0 მეტრს,

ხოლო შურფის 5.5 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – ძირითადი ქანი, თხელშრეებრივი არგილითები, ძლიერ გამოფიტული;
3. ფენა 3 – ძირითადი ქანი, ტუფოგენური ქვიშაქვები არგილითების თხელი შრეებით, ნაკლებად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. ზემოაღნიშნული ძირითადი ქანების თვისებები, როგორც ავღნიშნეთ განსაზღვრულია სამთო საქმის ინსტიტუტში. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი საცხოვრებელი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე (7 მ.) არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, 300 არაგველისა და იალბუზის ქუჩების გადაკვეთასთან სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.01.138.117; 014.115), აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე

ს სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ის ტელეფონის ერი	ქ. თბილისი, ვეფხვლიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
ადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
ოთლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
ხენებული ლიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
ქმიანობა და ჟუშაო ოვდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
ამოქვეყნებული მეცნიერო რომები და უბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფ „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის,. ქ. რუსთავ სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები" (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

ДИПЛОМ

ДОКТОРА НАУК

МВГ № 007499

Москва 2 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 12 ноября 1975 г. (протокол N 12)

Чохонелидзе Гурам Ивану

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

დიპლომი

[illegible] № 168109

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1967 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი [illegible]
და [illegible]

სახელმწიფო [illegible] 1972 წ.
30 ივნისის № [illegible] დადგენილებით
[illegible]
[illegible]
[illegible]

ქალაქი თბილისი 1972 წ. 2 [illegible]

სარეგისტრაციო № [illegible]-205

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010589

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ——————

0266413

მოქალაქის ხელმოწერა

მისამართი ——————

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. [illegible] ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ——————

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა